ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3460571

ნომერი: AR1528554

თარიღი : 29.07.2017

გაცემის თარიღი : 11.08.2017

გაცნობის თარიღი : 14.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , შიდა კვარტალში , N101-ე სკოლის მოპირდაპირედ , (ნაკვეთი N21, N22, N20) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა მარგველაშვილი პ/ნ 24001003338
- თბილისი ცხემის ჩიხი N 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1528554 ელექტრონული განაცხადი, ქ. თბილისში, #01.14.03.042.126 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 28 ივლისის #3430302 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ალ. ყაზბეგი, #34, შიდა კვარტალში, #101-ე სკოლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი #21, #22, #20), სს „კურაციოს“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.14.03.042.126), შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ამბულატორიის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2017 წლის 04 აგვისტოს #AR1529274 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე სოფიო გასიტაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.14.03.042.126 საკადასტრო ერთეულზე , მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ #3430302 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.